583/2
1990

ISSN 0203—2023

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო
ყველა
ქვეყნისა,
შეერთდით!

საქართველოს
საბჭოთა
სოციალისტური
რესპუბლიკის

№ 2

1990

# უზენაესი საბჭოს
# უწყებები

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს გამოცემა

თბილისი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

19645

# საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უწყებები

№ 2 (595) თებერვალი 1990 წელი

## შინაარსი

### განყოფილება პირველი

32. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის, მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა გაწვევისა და ვადამდე განთავისუფლების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე.

33. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება გარდაბნის რაიონის სახალხო სასამართლოს სახალხო მოსამართლის მოვალეობისაგან ამხ. გ. ვ. ხაბაშვილის ვადამდე განთავისუფლების შესახებ.

34. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ.

35. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. შ. ს. შავერზაშვილის ბოლნისის რაიონის სახალხო სასამართლოს სახალხო მოსამართლედ არჩევის შესახებ.

36. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ჯ. ლ. ლეონიძის გარდაბნის რაიონის სახალხო სასამართლოს სახალხო მოსამართლედ არჩევის შესახებ.

37. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება საქართველოს სსრ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებისათვის საკვალიფიკაციო კლასების მინიჭების შესახებ.

№ 2
ეროვნული
ბიბლიოთეკა

## განყოფილება მეორე

38. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის" დაჯილდოების შესახებ.
39. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის" დაჯილდოების შესახებ.
40. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის" დაჯილდოების შესახებ.
41. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ს. ს. გიორგაძის საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
42. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ლ. მ. ზაიჩიკისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტის" საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
43. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება „საქართველოს სსრ სახალხო განათლების დამსახურებული მუშაკის" საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
44. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება „საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის" საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
45. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება „საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის დამსახურებული მუშაკის" საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
46. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის, ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრისა და თოჯინების სახელმწიფო თეატრის მუშაკებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ.

## განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# განყოფილება პირველი

## საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

**32 საქართველოს სსრ სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის, მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა გაწვევისა და ვადამდე განთავისუფლების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე**

„სსრ კავშირში მოსამართლეთა სტატუსის შესახებ“ სსრ კავშირის კანონის მე-17 და მე-18 მუხლების შესაბამისად საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დამტკიცდეს დებულება საქართველოს სსრ სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის, მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა გაწვევისა და ვადამდე განთავისუფლების შესახებ. (თან ერთვის).

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1976 წლის 15 დეკემბრის ბრძანებულება „საქართველოს სსრ სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1976 წ., № 12, მუხ. 217);

საქართველოს სსრ 1981 წლის 25 ნოემბრის კანონი „საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა გაწვევის წესის შესახებ“. (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1981 წ., № 13, მუხ. 294).

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. გუმბარიძე.**
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ვ. კვარაცხელია.**

თბილისი, 1990 წლის 2 თებერვალი.
№ 2489—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს
პრეზიდიუმის 1990 წლის 2 თებერვლის
ბრძანებულებით

# დ ე ბ უ ლ ე ბ ა

## საქართველოს სსრ სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის, მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა გაწვევისა და ვადამდე განთავისუფლების შესახებ

## თ ა ვ ი I

## საქართველოს სსრ სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ

**მუხლი 1.** მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობა

„სსრ კავშირში მოსამართლეთა სტატუსის შესახებ“ სსრ კავშირის კანონის მე-18 მუხლის შესაბამისად მოსამართლე შეიძლება მიეცეს დისციპლინურ პასუხისგებაში ბრალეული მოქმედების ან უმოქმედობის გამო:

1) სასამართლო საქმეების განხილვისას კანონიერების დარღვევისათვის;

2) სხვა სამსახურებრივი გადაცდომისათვის;

3) სახელის გამტეხი საქციელისათვის.

სასამართლო გადაწყვეტილების გაუქმება ან შეცვლა თავისთავად არ იწვევს ამ გადაწყვეტილების გამოტანის მონაწილე მოსამართლის პასუხისმგებლობას, თუ ამასთან მას არ დაუშვია კანონის წინასწარგანზრახული დარღვევა ან არაკეთილსინდისიერება, რომელსაც არსებითი შედეგები მოჰყვა.

**მუხლი 2.** მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგიების კომპეტენცია მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხის განხილვისას

საქართველოს სსრ უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო კოლეგია განიხილავს საქმეებს:

საქართველოს სსრ უზენაესი სასამართლოს წევრების, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უზენაესი სასამართლოების, თბილისის საქალაქო სასამართლოსა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარეების დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ.

საქართველოს სსრ რაიონების, ქალაქების სასამართლოების მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგია განიხილავს საქმეებს:

თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეებისა და წევრების დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ;

საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ.

აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სასამართლოების მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგია განიხილავს საქმეებს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ უზენაესი სასამართლოების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარეების მოადგილეებისა და წევრების დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ;

აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ.

**მუხლი 3.** დისციპლინური საქმის აღძვრის უფლება

დისციპლინური საქმის აღძვრის უფლება აქვთ:

საქართველოს სსრ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს — საქართველოს სსრ ყველა სასამართლოს მოსამართლეთა მიმართ;

საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრს — აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ უზენაესი სასამართლოების, თბილისის საქალაქო სასამართლოსა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარეების, თავმჯდომარეთა მოადგილეების, წევრებისა და საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების მოსამართლეთა მიმართ;

აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ უზენაესი სასამართლოების, თბილისის საქალაქო სასამართლოსა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარეებს — შესაბამისი სასამართლოების წევრებისა და რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების მოსამართლეთა მიმართ;

აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ იუსტიციის მინისტრებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის იუსტიციის განყოფილების უფროსს — შესაბამისი რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების მოსამართლეთა მიმართ.

**მუხლი 4.** დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის ვადები

მოსამართლე დისციპლინურ პასუხისგებაში შეიძლება მიეცეს გადაცდომის გამოვლენის დღიდან არა უგვიანეს ერთი თვისა, სამსახურებრივი შემოწმების დროისა და საპატიო მიზეზით მოსამართლის სამუშაოზე არყოფნის ჩაუთვლელად, მაგრამ არა უგვიანეს ერთი წლისა გადაცდომის ჩადენის დღიდან.

**მუხლი 5.** დისციპლინური საქმის აღძვრის წესი

დისციპლინური საქმის აღმძვრელი პირი წინასწარ ამოწმებს მასალებს, რომელიც შეეხება მოსამართლის პასუხისგებაში მიცემის საფუძვლებს და მოითხოვს მისგან წერილობით ახსნა-განმარტებას.

საქართველოს სსრ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უზენაესი სასამართლოების თავმჯდომარეებს, თბილისის საქალაქო სასამართლოს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარეებს გამოაქვთ დადგენილება დისციპლინური საქმის აღძვრის შესახებ, ხოლო საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრი, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ იუსტიციის მინისტრები და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის იუსტიციის განყოფილების უფროსი გამოსცემენ ბრძანებას.

დადგენილებასა და ბრძანებაში უნდა აღინიშნოს დისციპლინური საქმის აღძვრის წინასწარი შემოწმებით დადგენილი საფუძველი. დადგენილება ან ბრძანება სათანადო მასალებთან ერთად განსახილველად ეგზავნება მოსამართლეთა შესაბამის საკვალიფიკაციო კოლეგიას.

დისციპლინური საქმის მასალების საკვალიფიკაციო კოლეგიაში გადაგზავნამდე მათ უნდა გაეცნოს მოსამართლე, რომლის მიმართაც იგი აღიძრა, ამასთან, მოსამართლეს უფლება აქვს წარადგინოს დამატებითი ახსნა-განმარტებანი ან აღძრას შუამდგომლობა საქმის დამატებით შემოწმების შესახებ.

**მუხლი 6.** დისციპლინური საქმის გამოთხოვა

დადგენილება ან ბრძანება დისციპლინური საქმის აღძვრის შესახებ შეიძლება გამოითხოვოს საქმის აღმძვრელმა პირმა საკვალიფიკაციო კოლეგიაში საქმის განხილვის დაწყებამდე.

მოსამართლეს, რომლის მიმართაც დისციპლინური საქმის აღძვრის შესახებ დადგენილების ან ბრძანების გამოთხოვა ხდება, უფლება აქვს მოითხოვოს საკვალიფიკაციო კოლეგიის მიერ საქმის არსებითი განხილვა.

**მუხლი 7.** საქმის მომზადება საკვალიფიკაციო კოლეგიაში განსახილველად

საქმის განხილვამდე, აუცილებლობის შემთხვევაში, წარმოებს მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის საფუძვლის დამატებითი შესწავლა, რასაც კოლეგიის თავმჯდომარე ავალებს კოლეგიის ერთ-ერთ წევრს. ამასთან, საჭიროების შემთხვევაში, ხდება დამატებითი მასალებისა და დოკუმენტების, აგრეთვე იმ სასამართლო საქმეების გამოთხოვა, რომელთა განხილვის დროს მოსამართლემ დაუშვა კანონის დარღვევა.

**მუხლი 8.** საკვალიფიკაციო კოლეგიის შემადგენლობა დისციპლინური საქმის განხილვის დროს

საკვალიფიკაციო კოლეგია დისციპლინურ საქმეებს განიხილავს მის წევრთა არანაკლებ ნახევრის შემადგენლობით. საკვალიფიკაციო კოლეგიის თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში, მის მოვალეობებს ასრულებს მისი მოადგილე ან კოლეგიის ერთ-ერთი წევრი, რომელიც წყვეტს კოლეგიის მუშაობის ორგანიზაციასთან დაკავშირებულ ყველა საკითხს.

**მუხლი 9.** დისციპლინური საქმის განხილვის ვადები

დისციპლინური საქმე განხილულ უნდა იქნეს საკვალიფიკაციო კოლეგიაში მისი შემოსვლის დღიდან არა უგვიანეს ერთ თვეში.

**მუხლი 10.** საკვალიფიკაციო კოლეგიის მონაწილე პირები

საკვალიფიკაციო კოლეგიის მიერ დისციპლინური საქმის განხილვისას დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემული მოსამართლის მონაწილეობა აუცილებელია.

საქმის განხილვაში მონაწილეობის უფლება აქვთ სხვა მოსამართლეებსაც, აგრეთვე თანამდებობის პირს, რომელმაც დისციპლინური საქმე აღძრა, ან მის წარმომადგენელს.

**მუხლი 11.** დისციპლინური საქმის განხილვის წესი

თავმჯდომარე სხდომას გახსნილად აცხადებს და აცნობს დამსწრეთ საკვალიფიკაციო კოლეგიის შემადგენლობას. მოსამართლეს შეუძლია საქმის გან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხილვამდე საკვალიფიკაციო კოლეგიის წევრებს მისცეს აცილება, რომელიც უნდა განიხილოს კოლეგიის შემადგენლობამ.

დისციპლინური საქმის განხილვა იწყება კოლეგიის თავმჯდომარის ან ერთ-ერთი წევრის მოხსენებით. დისციპლინური საქმის აღმძვრელ პირს უფლება აქვს გამოთქვას თავისი აზრი. მოსამართლის ახსნა-განმარტების მოსმენა აუცილებელია.

სხდომის მსვლელობის დროს პასუხისგებაში მიცემულ მოსამართლეს უფლება აქვს ნებისმიერ მომენტში განაცხადოს შუამდგომლობა ან მისცეს დამატებითი ახსნა-განმარტება. კოლეგიის შეხედულებით შეიძლება მოსმენილ იქნეს როგორც მოსამართლის, ასევე კოლეგიის ინიციატივით მოწვეულ სხვა პირთა ინფორმაციები, გამოქვეყნდეს დოკუმენტები და გამოკვლეულ იქნეს საქმეში არსებული და დამატებით წარმოდგენილი სხვა მასალები.

გადაწყვეტილება გამოაქვთ სათათბირო ოთახში.

კოლეგიის სხდომაზე აწარმოებენ ოქმს.

**მუხლი 12.** გადაწყვეტილება დისციპლინურ საქმეზე

საკვალიფიკაციო კოლეგიას შეუძლია გამოიტანოს შემდეგი გადაწყვეტილებანი:

— დისციპლინური სასჯელის დადების შესახებ;

— დისციპლინური საქმის შეწყვეტის შესახებ;

— დისციპლინური საქმის მასალების იმ ორგანოებისათვის გადაცემის შესახებ, რომლებიც უფლებამოსილი არიან აღძრან საკითხი მოსამართლის გაწვევის ან მის მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის თაობაზე.

კოლეგიას შეუძლია დაადოს შემდეგი სახის დისციპლინური სასჯელი:

ა) შენიშვნა;

ბ) საყვედური;

გ) სასტიკი საყვედური.

სასჯელის დადებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს დარღვევის ხასიათი და მისი შედეგები, გადაცდომის სიმძიმე, მოსამართლის პიროვნება და მისი ბრალის ხარისხი.

საკვალიფიკაციო კოლეგია დისციპლინურ საქმეს წყვეტს:

— მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის დაუსაბუთებლობის გამო;

— დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის ამ დებულების მე-4 მუხლით გათვალისწინებული ვადების გასვლის შემთხვევაში;

— დისციპლინური სასჯელის დადების არამიზანშეწონილობის დროს იმ შემთხვევაში, როცა შესაძლებელია მასალების მხოლოდ სხდომაზე განხილვით შემოიფარგლოს.

**მუხლი 13.** გადაწყვეტილების გამოტანის წესი

გადაწყვეტილება დისციპლინურ საქმეზე მიიღება განხილვაში მონაწილე კოლეგიის წევრთა ხმების უმრავლესობით, ჩამოყალიბდება წერილობით და მას ხელს აწერენ სხდომის თავმჯდომარე და კოლეგიის წევრები.

კოლეგიის წევრი, რომელიც არ ეთანხმება საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებას და დარჩა უმცირესობაში, ხელს არ აწერს კოლეგიის გადაწყვეტილებას და წერილობით ჩამოაყალიბებს თავის განსაკუთრებულ აზრს, რომელიც საქმეს თან ერთვის.

გადაწყვეტილებას დისციპლინურ საქმეზე აცხადებენ საკვალიფიკაციო კოლეგიის სხდომაზე.

**მუხლი 14.** გადაწყვეტილების შინაარსი

დისციპლინურ საქმეზე გადაწყვეტილებაში უნდა აღინიშნოს: კოლეგიის დასახელება, მისი შემადგენლობა; საქმის განხილვის ადგილი და დრო; დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემული მოსამართლის სახელი, მამის სახელი, გვარი და თანამდებობა; დისციპლინური საქმის აღმძვრელი პირის თანამდებობა და გვარი; საქმის გარემოებანი; მოსამართლის ახსნა-განმარტება და მისი პიროვნების დამახასიათებელი მონაცემები; მიღებული გადაწყვეტილების მოტივირება მტკიცებულებათა მითითებით; დისციპლინური სასჯელის ზომა ან დისციპლინური საქმის შეწყვეტის საფუძველი, აგრეთვე გადაწყვეტილების გასაჩივრების წესი.

**მუხლი 15.** გადაწყვეტილების პირის გაგზავნა

დისციპლინურ საქმეზე გადაწყვეტილების პირი მისი გამოტანიდან სამი დღის ვადაში გაეგზავნება მოსამართლეს, რომლის მიმართაც გამოტანილი იქნა გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმის აღმძვრელ პირსა და საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს.

გადაწყვეტილების პირი ერთვის მოსამართლის პირად საქმეს.

**მუხლი 16.** დისციპლინური საქმის განახლება

თუ ორგანო, რომლის წინაშეც საკვალიფიკაციო კოლეგიის გადაწყვეტილებით დაყენებულია მოსამართლის გაწვევის ან მის მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის საკითხი, ვერ ნახავს საამისო საფუძველს, მაშინ დისციპლინური საქმე დაუბრუნდება საკვალიფიკაციო კოლეგიას და განახლდება. კოლეგიის პირვანდელი გადაწყვეტილების გამოტანიდან მასალების დაბრუნებამდე გასული დრო არ ითვლება ამ დებულების მე-4 მუხლით გათვალისწინებულ დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის ვადებში.

**მუხლი 17.** საკვალიფიკაციო კოლეგიის გადაწყვეტილების გასაჩივრების წესი

საქართველოს სსრ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგიის გადაწყვეტილება დისციპლინური სასჯელის დადების შესახებ საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

საქართველოს სსრ რაიონების, ქალაქების სასამართლოების მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგიის, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ უზენაესი სასამართლოებისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლოს მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგიების გადაწყვეტილება მისი გამოტანის დღიდან ორი კვირის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს სსრ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგიაში იმ მოსამართლის მიერ, ვის მიმართაც იგი იქნა გამოტანილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საჩივარს გადაწყვეტილების გადასინჯვის შესახებ განიხილავს საქართველოს სსრ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგია მისი შეტანის დღიდან ერთი თვის ვადაში. მისი გადაწყვეტილება საბოლოოა. კოლეგიის სხდომას შეიძლება ესწრებოდეს საჩივრის შემტანი მოსამართლე.

**მუხლი 18.** საჩივრის განხილვისას მიღებული გადაწყვეტილება

საქართველოს სსრ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგია უფლებამოსილია:

უცვლელად დატოვოს გადაწყვეტილება, ხოლო საჩივარი — დაუკმაყოფილებელი;

გააუქმოს გადაწყვეტილება და მიიღოს მოსამართლის დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ საკითხი თავის წარმოებაში განსახილველად;

გააუქმოს გადაწყვეტილება და შეწყვიტოს დისციპლინური საქმე;

შეცვალოს გადაწყვეტილება და მოსამართლეს დაადოს უფრო მსუბუქი დისციპლინური სასჯელი.

საჩივარის გამო გადაწყვეტილების პირი გადაიგზავნება ამ დებულების მე-15 მუხლით გათვალისწინებული წესით.

**მუხლი 19.** დისციპლინური სასჯელის მოხსნა

თუ დისციპლინური სასჯელის დადების დღიდან ერთი წლის განმავლობაში მოსამართლეს არ დაედება ახალი დისციპლინური სასჯელი, იგი ითვლება დისციპლინური სასჯელის არმქონედ.

დისციპლინური საქმის აღმძვრელი პირის წარდგინებით, აგრეთვე თავისი ინიციატივით დისციპლინური სასჯელის დამდებ საკვალიფიკაციო კოლეგიას შეუძლია სასჯელის დადების დღიდან არანაკლებ ექვსი თვის გასვლის შემდეგ ვადამდე მოუხსნას სასჯელი მოსამართლეს უმწიკვლო ყოფაქცევისა და თავისი სამსახურებრივი მოვალეობებისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულების გამო.

## თავი II

## მოსამართლისა და სახალხო მსაჯულის გაწვევა და ვადამდე განთავისუფლება

**მუხლი 20.** მოსამართლისა და სახალხო მსაჯულისათვის უფლებამოსილების ვადამდე ჩამორთმევა

„სსრ კავშირში მოსამართლის სტატუსის შესახებ“ სსრ კავშირის კანონის შესაბამისად საქართველოს სსრ უზენაესი სასამართლოს წევრებს და სახალხო მსაჯულებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უზენაესი სასამართლოების, თბილისის საქალაქო სასამართლოსა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარეებს, თავმჯდომარის მოადგილეებს, წევრებსა და სახალხო მსაჯულებს, რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების მოსამართლეებსა და სახალხო მსაჯულებს შეიძლება ვადამდე ჩამოერთვათ უფლებამოსილება სასამართლო საქმეების განხილვისას სოციალისტური კა-

ნონიერების დარღვევისათვის ან მათ მაღალ წოდებასთან შეუთავსებელი სახელის გამტეხი საქციელისათვის, აგრეთვე მათ მიმართ კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენის გამო.

საქართველოს სსრ უზენაესი სასამართლოს წევრებს და სახალხო მსაჯულებს, თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარეს, თავმჯდომარის მოადგილეებს და სახალხო მსაჯულებს გაიწვევს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭო, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ უზენაესი სასამართლოს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარეებს, თავმჯდომარის მოადგილეებს, წევრებსა და სახალხო მსაჯულებს — აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ უზენაესი საბჭოები, სახალხო დეპუტატთა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საბჭო, რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების მოსამართლეებს — საქართველოს სსრ უზენაესი საბჭო, ავტონომიური რესპუბლიკების უზენაესი საბჭოები, სახალხო დეპუტატთა საბჭოები, რომლებმაც ისინი აირჩიეს, ხოლო რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მსაჯულებს — შრომითი კოლექტივების კრებები სამუშაო ადგილის მიხედვით ან მოქალაქეთა კრებები საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, სადაც ისინი არჩეული იყვნენ სახალხო მსაჯულებად.

**მუხლი 21.** გაწვევის საკითხის აღძვრის უფლება

გაწვევის საკითხის აღძვრის უფლება ეკუთვნით:

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს — საქართველოს სსრ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მიმართ;

საქართველოს სსრ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს — საქართველოს სსრ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეების, წევრებისა და სახალხო მსაჯულების, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უზენაესი სასამართლოების თავმჯდომარეების, თავმჯდომარის მოადგილეების, წევრების და სახალხო მსაჯულების, თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილეების, წევრებისა და სახალხო მსაჯულების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის, წევრებისა და სახალხო მსაჯულების, რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების ყველა მოსამართლისა და სახალხო მსაჯულის მიმართ სასამართლო საქმეების განხილვისას კანონიერების დარღვევისათვის;

საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრს — აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ უზენაესი სასამართლოების, თბილისის საქალაქო სასამართლოს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარეების, თავმჯდომარის მოადგილეების, წევრებისა და სახალხო მსაჯულების, რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების ყველა მოსამართლისა და სახალხო მსაჯულების მიმართ მათ მაღალ წოდებასთან შეუთავსებელი სახელის გამტეხი საქციელისათვის;

აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უზენაესი სასამართლოების თავმჯდომარეებს, თბილისის საქალაქო სასამართლოსა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარეებს — შესაბამისად უზე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაესი სასამართლოების, საქალაქო და საოლქო სასამართლოების თავმჯდომარეების მოადგილეების, წევრებისა და სახალხო მსაჯულების, რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების მოსამართლეების და სახალხო მსაჯულების მიმართ სასამართლო საქმეების განხილვისას კანონიერების დარღვევისათვის;

აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ იუსტიციის მინისტრებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის იუსტიციის განყოფილების უფროსს — შესაბამისი რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების მოსამართლეებისა და სახალხო მსაჯულების მიმართ მათ მაღალ წოდებასთან შეუთავსებელი სახელის გამტეხი საქციელისათვის;

შრომით კოლექტივებსა და მოქალაქეთა კრებებს — მათ მიერ არჩეული რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მსაჯულების მიმართ მათ მაღალ წოდებასთან შეუთავსებელი სახელის გამტეხი საქციელისათვის.

**მუხლი 22.** გაწვევის შესახებ საკითხის აღძვრის წესი

პირი, რომელიც აღძრავს საკითხს გაწვევის შესახებ, ორგანიზაციას უკეთებს იმ მასალების გულდასმით შესწავლას, რომელიც საფუძვლად დაედო ამ საკითხის დაყენებას, აცნობებს მოსამართლეს ან სახალხო მსაჯულს მათი გაწვევის საკითხის აღძვრისა და გაწვევის მოტივის შესახებ, ასევე მოითხოვს წერილობით ახსნა-განმარტებას.

მასალები, რომლის საფუძველზეც აღიძრა მოსამართლის გაწვევის საკითხი, დასკვნისათვის გადაეგზავნებათ:

საქართველოს სსრ უზენაესი სასამართლოს წევრების, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უზენაესი სასამართლოების თავმჯდომარეების, თბილისის საქალაქო სასამართლოს და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარეების მიმართ — საქართველოს სსრ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგიას;

თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეებისა და წევრების, რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების მოსამართლეთა მიმართ — საქართველოს სსრ რაიონების, ქალაქების სასამართლოების მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგიას;

აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ უზენაესი სასამართლოებისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარეების მოადგილეებისა და წევრების, შესაბამისი რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების მოსამართლეების მიმართ — აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სასამართლოების მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგიებს.

საქართველოს სსრ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგიის დასკვნა გასაჩივრებას არ ექვემდებარება. საქართველოს სსრ რაიონების, ქალაქების სასამართლოების მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგიის, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური

№2 ეროვნული ბიბლიოთეკა

ოლქის სასამართლოების მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგიების დასკვნა ამ დებულების მე-17 მუხლის საფუძველზე შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს სსრ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგიაში.

**მუხლი 23.** მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა გაწვევის შესახებ წარდგინების შეტანის წესი

წარდგინება საქართველოს სსრ უზენაესი სასამართლოს წევრებისა და სახალხო მსაჯულების გაწვევის შესახებ საკვალიფიკაციო კოლეგიის დასკვნასთან ერთად საქართველოს სსრ უზენაეს საბჭოში შეაქვს საქართველოს სსრ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს.

წარდგინება თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილეების, წევრებისა და სახალხო მსაჯულების გაწვევის შესახებ საკვალიფიკაციო კოლეგიის დასკვნასთან ერთად საქართველოს სსრ უზენაეს საბჭოში შეაქვს საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრს.

წარდგინება აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უზენაესი სასამართლოების თავმჯდომარეებისა და თავმჯდომარის მოადგილეების გაწვევის შესახებ საკვალიფიკაციო კოლეგიის დასკვნასთან ერთად შეაქვს საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის შესაბამისად აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უზენაეს საბჭოებში.

წარდგინება აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უზენაესი სასამართლოს წევრებისა და სახალხო მსაჯულების გაწვევის შესახებ საკვალიფიკაციო კოლეგიის დასკვნასთან ერთად შეაქვს შესაბამისად აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უზენაეს საბჭოში.

წარდგინება სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარის, მისი მოადგილის, წევრებისა და სახალხო მსაჯულების გაწვევის შესახებ საკვალიფიკაციო კოლეგიის დასკვნასთან ერთად საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრს შეაქვს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოში.

წარდგინება საქართველოს სს რესპუბლიკის რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების მოსამართლეთა გაწვევის შესახებ საკვალიფიკაციო კოლეგიის დასკვნასთან ერთად საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრს შეაქვს საქართველოს სსრ უზენაეს საბჭოში.

წარდგინება ქალაქების თბილისისა და ქუთაისის რაიონული სახალხო სასამართლოების მოსამართლეთა გაწვევის შესახებ საკვალიფიკაციო კოლეგიის დასკვნასთან ერთად საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრს შეაქვს შესაბამისად თბილისის და ქუთაისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოებში.

წარდგინებას აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების მოსამართლეთა გაწვევის შესახებ საკვალიფიკაციო კოლეგიის დასკვნასთან ერთად და საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის აზრის გათვალისწინებით აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ იუსტიციის მინისტრები და სამხრეთ ოსეთის ავტონო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის იუს-ტიციის განყოფილების უფროსი წარადგენენ შესაბამისად ავტონომიური რეს-პუბლიკების უმაღლეს საბჭოებსა და ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუ-ტატთა საბჭოში.

წარდგინება საქართველოს სს რესპუბლიკის რაიონული (საქალაქო) სა-ხალხო სასამართლოების სახალხო მსაჯულების გაწვევის შესახებ შეაქვს რაი-ონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოს თავმჯდომარეს სახალხო მსაჯუ-ლის შრომით კოლექტივში სამუშაო ადგილის მიხედვით ან მოქალაქეთა კრე-ბებზე საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, სადაც იგი აირჩიეს.

რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოს სახალხო მსაჯულის გაწვე-ვის შესახებ წარდგინებას განიხილავენ შრომითი კოლექტივის კრებაზე სამუ-შაო ადგილის მიხედვით ან მოქალაქეთა კრებაზე საცხოვრებელი ადგილის მი-ხედვით, სადაც იგი აირჩიეს სახალხო მსაჯულად. გადაწყვეტილებას სახალხო მსაჯულის გაწვევის შესახებ იღებენ ღია კენჭისყრით ხმათა უმრავლესობით. კრებაზე სახალხო მსაჯულის დასწრება, რომლის მიმართ წყდება საკითხი გა-მოწვევის შესახებ, სავალდებულოა.

მოსამართლისა და სახალხო მსაჯულის მიმართ კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენი წარმოადგენს უფლებამოსილების ვადამდე ჩამორ-თმევის დამოუკიდებელ საფუძველს.

**მუხლი 24.** მოსამართლეებისა და სახალხო მსაჯულების ვადამდე განთა-ვისუფლების საფუძვლები

მოსამართლეები და სახალხო მსაჯულები შეიძლება ვადამდე განთავი-სუფლდნენ თავიანთი მოვალეობების შესრულებისაგან:

ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, რაც ხელს უშლის მუშაობის გაგრძე-ლებას;

სხვა თანამდებობაზე არჩევის ან მათი თანხმობით სხვა სამუშაოზე გადა-ყვანის გამო;

პირადი სურვილით.

**მუხლი 25.** ვადამდე განთავისუფლების წესი

საქართველოს სსრ უზენაესი სასამართლოს წევრებს და სახალხო მსაჯუ-ლებს, თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარეს, თავმჯდომარის მოად-გილეებს, წევრებსა და სახალხო მსაჯულებს ვადამდე ათავისუფლებს საქართ-ველოს სსრ უზენაესი საბჭო.

აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ უზენაესი სასამართლოების თავმჯდომა-რეებს, თავმჯდომარის მოადგილეებს, წევრებს და სახალხო მსაჯულებს ვადამ-დე ათავისუფლებს შესაბამისად აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უზენაესი საბჭოები.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლოს თავმჯდო-მარეს, თავმჯდომარის მოადგილეს, წევრებს და სახალხო მსაჯულებს ვადამდე ათავისუფლებს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭო.

საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეებს ვადამდე ათავისუფლებს შესაბამისად საქართველოს სსრ უზენაესი საბჭო, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ უზენაესი საბჭოები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭო, თბილისისა და ქუთაისის სახალხო დეპუტატთა საბჭოები.

წარდგინება საქართველოს სსრ უზენაესი სასამართლოს წევრებისა და სახალხო მსაჯულების ვადამდე განთავისუფლების შესახებ შეაქვს საქართველოს სსრ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს. სხვა მოსამართლეთა მიმართ — საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრს, ხოლო ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს, საოლქო სასამართლოს, თბილისის საქალაქო სასამართლოს სახალხო მსაჯულების მიმართ — ამ სასამართლოების თავმჯდომარეებს.

რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოს სახალხო მსაჯულის ვადამდე განთავისუფლების წარდგინება შეაქვს რაიონული საქალაქო სახალხო სასამართლოს თავმჯდომარეს სახალხო მსაჯულის შრომით კოლექტივში სამუშაო ადგილის მიხედვით ან მოქალაქეთა კრებაზე საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, სადაც იგი აირჩიეს სახალხო მსაჯულად.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 33 გარდაბნის რაიონის სახალხო სასამართლოს სახალხო მოსამართლის მოვალეობისაგან ამხ. გ. ვ. ხაბაშვილის ვადამდე განთავისუფლების შესახებ

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

სასამართლო წყობილების შესახებ საქართველოს სსრ კანონის 73-ე მუხლის შესაბამისად განთავისუფლდეს ამხ. გივი ვასილის ძე **ხაბაშვილი** გარდაბნის რაიონის სახალხო სასამართლოს სახალხო მოსამართლის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.

**საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. გუმბარიძე.**
**საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.**

თბილისი, 1990 წლის 5 თებერვალი.
№ 2491—XI

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 34 საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

„სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის სამართალწარმოების საფუძვლების 34-ე მუხლში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ" სსრ კავშირის 1989 წლის 28 ნოემბრის კანონის შესაბამისად საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ 1960 წლის 30 დეკემბრის კანონით დამტკიცებულ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1961 წ., № 1, მუხ. 11; 1984 წ., № 4, მუხ. 100) შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. 89-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 89.** პატიმრობის ვადა

პატიმრობა, როგორც აღკვეთის ღონისძიება, სისხლის სამართლის საქმეზე დანაშაულის გამოძიების დროს არ შეიძლება გაგრძელდეს ორ თვეზე მეტი. ეს ვადა შეიძლება გააგრძელოს რაიონის, ქალაქის პროკურორმა, არმიის, ფლოტილიის, შენაერთის, გარნიზონის სამხედრო პროკურორმა და მათთან გათანაბრებულმა პროკურორმა გამოძიების დამთავრების შეუძლებლობის შემთხვევაში და აღკვეთის ღონისძიების შეცვლისათვის საფუძვლის არარსებობისას — სამ თვემდე. საქმის განსაკუთრებული სირთულის გამო ვადის შემდგომი გაგრძელება შეიძლება განახორციელოს ავტონომიური რესპუბლიკის პროკურორმა, ქ. თბილისის პროკურორმა, ავტონომიური ოლქის პროკურორმა, სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების სახეობის, ოლქის, ჯარების ჯგუფის, ფლოტის სამხედრო პროკურორმა და მათთან გათანაბრებულმა პროკურორმა — ექვს თვემდე, ხოლო საქართველოს სსრ პროკურორმა და მთავარმა სამხედრო პროკურორმა — ცხრა თვემდე დღიდან დაპატიმრებისა.

პატიმრობის ვადის გაგრძელება ცხრა თვეზე მეტით დაიშვება განსაკუთრებულ შემთხვევებში და მხოლოდ იმ პირთა მიმართ, რომელთაც ბრალი ედებათ მძიმე დანაშაულის ჩადენაში. ასეთ გაგრძელებას ახორციელებენ სსრ კავშირის გენერალური პროკურორის მოადგილე — ერთ წლამდე და სსრ კავშირის გენერალური პროკურორი — წლინახევრამდე. ბრალდებულის პატიმრობაში ერთ წელზე მეტი ხნით ყოფნის საკითხი წინასწარ განიხილება სსრ კავშირის პროკურატურის კოლეგიაზე.

ვადის შემდგომი გაგრძელება არ დაიშვება, პატიმრობაში მყოფი ბრალდებული დაუყოვნებლივ უნდა განთავისუფლდეს.

გამოძიებით დამთავრებული სისხლის სამართლის საქმის მასალები გასაცნობად უნდა წარედგინოს ბრალდებულს და მის დამცველს არა უგვიანეს ერთი თვისა ამ მუხლის მეორე ნაწილით დადგენილი პატიმრობაში ყოფნის ზღვრული ვადის დამთავრებამდე.

პატიმრობის, როგორც აღკვეთის ღონისძიების, ვადის გამოანგარიშებისას ბრალდებულისა და მისი დამცველის მიერ სისხლის სამართლის საქმის მასალების გაცნობის ვადა არ გაითვალისწინება.

სასამართლოს მიერ საქმის ხელახლა გამოძიებისათვის დაბრუნებისას, როდესაც ბრალდებულის პატიმრობაში ყოფნის ვადა ამოიწურა, ხოლო საქმის გარემოებათა გამო პატიმრობა, როგორც აღკვეთის ღონისძიება, არ შეიძლება შეიცვალოს, პატიმრობის ვადას აგრძელებს გამოძიებაზე ზედამხედველი პროკურორი მის მიერ საქმის მიღების მომენტიდან ერთი თვის ფარგლებში. ეს ვადა შემდგომ გაგრძელდება სასამართლოში საქმის გაგზავნამდე ბრალდებულის

ეროვნული ბიბლიოთეკა

პატიმრობაში ყოფნის დროის გათვალისწინებით, ამ მუხლის პირველი, მეორე და მეხუთე ნაწილებით დადგენილი წესითა და ფარგლებში".

2. 134-ე მუხლის მესამე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ამ მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი წინასწარი გამოძიების ვადა შეიძლება გააგრძელონ რაიონის, ქალაქის პროკურორმა, არმიის, ფლოტილიის, შენაერთის, გარნიზონის სამხედრო პროკურორმა და მათთან გათანაბრებულმა პროკურორმა — სამ თვემდე, საქმის განსაკუთრებული სირთულის გამო ვადის შემდგომი გაგრძელება შეიძლება განახორციელონ აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ პროკურორებმა, ქ. თბილისის პროკურორმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის პროკურორმა, სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების სახეობის, ოლქის, ჯარების ჯგუფის, ფლოტის სამხედრო პროკურორმა, მათთან გათანაბრებულმა პროკურორმა ან მათმა მოადგილეებმა — ექვს თვემდე. წინასწარი გამოძიების ვადა გამონაკლის შემთხვევებში შედგომ შეიძლება გააგრძელოს საქართველოს სსრ პროკურორმა, მთავარმა სამხედრო პროკურორმა, სსრ კავშირის გენერალურმა პროკურორმა ან მათმა მოადგილეებმა".

ამ მუხლიდან ამოღებულ იქნეს მეოთხე ნაწილი.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. გუმბარიძე.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1990 წლის 5 იანვარი.

№ 2492—XI

## საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 35 ამხ. შ. ს. შავერზაშვილის ბოლნისის რაიონის სახალხო სასამართლოს სახალხო მოსამართლედ არჩევის შესახებ

საქართველოს სსრ კონსტიტუციის 164-ე მუხლის შესაბამისად საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

არჩეულ იქნეს ამხ. შოთა სტეფანეს ძე **შავერზაშვილი** ბოლნისის რაიონის სახალხო სასამართლოს სახალხო მოსამართლედ.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. გუმბარიძე.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1990 წლის 13 თებერვალი.

№ 2499—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 36 ამხ. ჯ. ლ. ლეონიძის გარდაბნის რაიონის სახალხო სასამართლოს სახალხო მოსამართლედ არჩევის შესახებ

საქართველოს სსრ კონსტიტუციის 164-ე მუხლის შესაბამისად საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

არჩეულ იქნეს ამხ. ჯემალ ლევანის ძე **ლეონიძე** გარდაბნის რაიონის სახალხო სასამართლოს სახალხო მოსამართლედ.

**საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. გუმბარიძე.**
**საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.**

თბილისი, 1990 წლის 13 თებერვალი.
№ 2500—XI

## საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება

### 37 საქართველოს სსრ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებისათვის საკვალიფიკაციო კლასების მინიჭების შესახებ

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სასამართლოთა მოსამართლეების საკვალიფიკაციო კლასების შესახებ დებულების შესაბამისად საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

მიენიჭოთ:

**პირველი საკვალიფიკაციო კლასი**

საქართველოს სსრ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეებს:

ვალერიან ალექსანდრეს ძე **ედიშერაშვილს**
გრიგოლ გრიგოლის ძე **დევდარიანს.**

საქართველოს სსრ უზენაესი სასამართლოს წევრებს:

გივი ივანეს ძე **ბახტაძეს**
ოროდე სარდიონის ძე **ბებიას**
თეიმურაზ ვალერიანის ძე **გერსამიას**
ივანე ზაქარიას ძე **გოგილაშვილს**
ოთარ ალექსანდრეს ძე **ჯიბლაძეს**
თამაზ ირაკლის ძე **დონჯაშვილს**
ივანე შალვას ძე **ჟორდანიას**
ალექსანდრე არსენის ძე **ლულუნიშვილს**
ჯიმი კონსტანტინეს ძე **ყიფიანს**
ივანე ნიკოლოზის ძე **ქრისტესიაშვილს**

საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ.

№ 2
ეროვნული ბიბლიოთეკა

შოთა გიორგის ძე **ფაფიაშვილს**
რამაზ ვასილის ძე **ხმალაძეს**
ადელინა ივანეს ასულ **ხონიაკინას.**

**მეორე საკვალიფიკაციო კლასი**

საქართველოს სსრ უზენაესი სასამართლოს წევრებს:

ლეილა მზეჭაბუკის ასულ **ბეჟანოვას**
ლენგერ ამბროსის ძე **ბოჭორიშვილს**
ლილი გიორგის ასულ **გელუკაშვილს**
მირზა ამირანის ძე **დოლიძეს**
ყურბან გასრატ ოღლი **ისაევს**
ლამარა პარმენის ასულ **ისაკაძეს**
ვლადიმერ მინას ძე **კამკამიძეს**
მზექალა ბეწინიკის ასულ **ქარსელაძეს**
თამარ სოლომონის ასულ **ყრუაშვილს**
ნოდარ დავითის ძე **ნასარიძეს**
ლეონიდე მიხეილის ძე **საყვარელიძეს**
ელენე რუბენის ასულ **სარქისოვას**
ლამარა პროკოფის ასულ **სორდია-შევცოვას**
იური ილიას ძე **ტყეშელაშვილს**
ვახტანგ ვალერიანის ძე **თორდიას**
გიორგი ბუღიას ძე **ხაბულიანს**
თამარ ჭიჭიკოს ასულ **ჩიქოვანს**
ალექსი ბაჯგოს ძე **წაბრიას**
ჯუდუ ვარდენის ძე **წაქაძეს**
ნოე ალექსის ძე **წიქორიძეს**
რევაზ შალვას ძე **ცინცაძეს**
გივი სტეფანეს ძე **ცირამუას**
ჯემალ შალვას ძე **ცისკარიშვილს.**

**მესამე საკვალიფიკაციო კლასი**

საქართველოს სსრ უზენაესი სასამართლოს წევრებს:

ჯუმბერ ვალერიანის ძე **რუსიაშვილს**
გულდარ არსენის ძე **ტურაშვილს**
ვალერიან თენგიზის ძე **ხრუსტალს.**

**საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. გუმბარიძე.**
**საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.**

თბილისი, 1990 წლის 19 თებერვალი.
№ 2512—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება მეორე

## საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 38 მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის" დაჯილდოების შესახებ

ხანძრის ჩაქრობისა და ადამიანების გადარჩენის დროს გამოჩენილი უნარიანი ხელმძღვანელობისა და თავდადებული მოქმედებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით მედლით **„ხანძარზე მამაცობისათვის"** დაჯილდოვდნენ:

ალექსანდრე ივანეს ძე **ბულგაკოვი** — შინაგანი სამსახურის პოდპოლკოვნიკი, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს სახანძრო დაცვის მთავარი სამმართველოს ინჟინერ-ინსპექტორი.

იგორ ფოტის ძე **კიმსტაჩი** — გენერალ-მაიორი, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს სახანძრო დაცვის მთავარი სამმართველოს უფროსის პირველი მოადგილე.

ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე **კლეპანოსოვი** — შინაგანი სამსახურის პოლკოვნიკი, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს სახანძრო დაცვის საკავშირო სამეცნიერო ინსტიტუტის განყოფილების უფროსი.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. გუმბარიძე.**
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ვ. კვარაცხელია.**

თბილისი, 1990 წლის 19 თებერვალი.
№ 2509—XI

## საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 39 მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის" დაჯილდოების შესახებ

ხანძრის ჩაქრობის დროს გამოჩენილი გამბედაობის, მამაცობისა და თავგანწირვისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით მედლით **„ხანძარზე მამაცობისათვის"** დაჯილდოვდნენ:

მემედ მუხამედის ძე **მხეიძე** — შინაგანი სამსახურის უფროსი სერჟანტი, აჭარის ასსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახანძრო დაცვის განყოფილების გასამხედროებული სახანძრო ნაწილის განყოფილების მეთაური

ეროვნული ბიბლიოთეკა

პავლე არტემის ძე **პოლოხიანი** — შინაგანი სამსახურის კაპიტანი, აჭარის ასსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახანძრო დაცვის განყოფილების გასამხედროებული სახანძრო ნაწილის უფროსის მოადგილე.

**საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. გუმბარიძე.**
**საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.**

თბილისი, 1990 წლის 19 თებერვალი.
№ 2510—XI

## საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 40 მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის" დაჯილდოების შესახებ

ხანძრის ჩაქრობის დროს გამოჩენილი გამბედაობის, მამაცობისა და თავგანწირვისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით მედლით **„ხანძარზე მამაცობისათვის"** დაჯილდოვდნენ:

იბრაიტბეგ იუსუფის ძე **ალიკუჩ ოღლი** — შინაგანი სამსახურის უმცროსი სერჟანტი, აჭარის ასსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახანძრო დაცვის განყოფილების გასამხედროებული სახანძრო ნაწილის მეხანძრე.

რევაზ სულიკოს ძე **ახანიძე** — შინაგანი სამსახურის უფროსი სერჟანტი, აჭარის ასსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახანძრო დაცვის განყოფილების გასამხედროებული სახანძრო ნაწილის ქვეგანყოფილების მეთაური.

სერგი ოთარის ძე **ბაიდაშვილი** — შინაგანი სამსახურის მაიორი, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახანძრო დაცვის სამმართველოს სამხედრო-სამობილიზაციო მუშაობის და სამოქალაქო თავდაცვის განყოფილების მთავარი ინჟინერი.

ვაჟა რიზას ძე **გოგიტიძე** — შინაგანი სამსახურის უფროსი ლეიტენანტი, აჭარის ასსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახანძრო დაცვის განყოფილების გასამხედროებული სახანძრო ნაწილის საგუშაგოს უფროსი.

შოთა ომერის ძე **გოგიტიძე** — მილიციის პოდპოლკოვნიკი, შინაგან საქმეთა ბათუმის საქალაქო განყოფილების მეორე ქვეგანყოფილების უფროსი.

ზაქრო ჰასანის ძე **დავითაძე** — შინაგანი სამსახურის ზემდეგი, აჭარის ასსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახანძრო დაცვის განყოფილების დამოუკიდებელი გასამხედროებული სახანძრო ნაწილის ქვეგანყოფილების მეთაური.

ნუგზარ ამირანის ძე **კაკაბაძე** — შინაგანი სამსახურის უმცროსი სერჟანტი, აჭარის ასსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახანძრო დაცვის განყოფილების დამოუკიდებელი გასამხედროებული სახანძრო ნაწილის უფროსი მეხანძრე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თემურ იაკობის ძე **კვაჭაძე** — შინაგანი სამსახურის პოდპოლკოვნიკი, აჭარის ასსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახანძრო დაცვის განყოფილების უფროსის მოადგილე.

ოთარ მათეს ძე **კვაჭაძე** — შინაგანი სამსახურის კაპიტანი, აჭარის ასსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახანძრო დაცვის განყოფილების გასამხედროებული სახანძრო რაზმის ინსპექტორი.

ავთანდილ შალვას ძე **კიძაძე** — შინაგანი სამსახურის უფროსი ლეიტენანტი, აჭარის ასსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახანძრო დაცვის განყოფილების ინჟინერი.

მურად ახმედის ძე **კომახიძე** — შინაგანი სამსახურის უფროსი ლეიტენანტი, აჭარის ასსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახანძრო დაცვის განყოფილების დამოუკიდებელი გასამხედროებული სახანძრო ნაწილის ინსპექტორი.

ნოდარ ჯემალის ძე **კომახიძე** — შინაგანი სამსახურის კაპიტანი, აჭარის ასსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახანძრო დაცვის განყოფილების ხანძრის ჩაქრობის მორიგი სამსახურის ხანძრის ჩაქრობის ხელმძღვანელის თანაშემწე.

შოთა თემურის ძე **კონცელიძე** — შინაგანი სამსახურის უმცროსი სერჟანტი, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახანძრო დაცვის განყოფილების გასამხედროებული სახანძრო ნაწილის უფროსი მეხანძრე.

ვაჟა დურსუნის ძე **ნოღაიდელი** — აჭარის ასსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახანძრო დაცვის განყოფილების გასამხედროებული სახანძრო დაცვის რაზმის უფროსის მოადგილე.

ნოდარ ხულუსის ძე **სარხანიძე** — შინაგანი სამსახურის კაპიტანი, აჭარის ასსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახანძრო დაცვის განყოფილების გასამხედროებული სახანძრო ნაწილის საგუშაგოს უფროსი.

არტემ მათეოსის ძე **სემერჯანი** — შინაგანი სამსახურის პოდპოლკოვნიკი, აჭარის ასსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახანძრო დაცვის განყოფილების გასამხედროებული სახანძრო დაცვის განყოფილების უფროსი.

ომერ რეპიკოს ძე **ქავთარაძე** — შინაგანი სამსახურის უფროსი სერჟანტი, აჭარის ასსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახანძრო დაცვის განყოფილების გემ „ბესტრაშნის“ სახანძრო ქვეგანყოფილების მეთაური.

თალიბ მიხეილის ძე **ქორიძე** — შინაგანი სამსახურის სერჟანტი, აჭარის ასსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახანძრო დაცვის განყოფილების გასამხედროებული სახანძრო ნაწილის უფროსი მეხანძრე.

ენვერ ისრაფილის ძე **შარაძე** — შინაგანი სამსახურის უფროსი სერჟანტი, აჭარის ასსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახანძრო დაცვის განყოფილების დაქვემდებარებული გასამხედროებული სახანძრო ნაწილის ქვეგანყოფილების მეთაური.

როსტომ რევაზის ძე **შაქარიშვილი** — შინაგანი სამსახურის უფროსი ლეიტენანტი, აჭარის ასსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახანძრო დაცვის განყოფილების გასამხედროებული სახანძრო ნაწილის საგუშაგოს უფროსი.

ლევან ზაურის ძე **ჩაგალიძე** — შინაგანი სამსახურის უმცროსი სერჟანტი,

№ 2
ეროვნული
ბიბლიოთეკა

აჭარის ასსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახანძრო დაცვის განყოფილების გასამხედროებული სახანძრო ნაწილის მეხანძრე.

ნოდარ შალვას ძე **ცეცხლაძე** — შინაგანი სამსახურის მაიორი, აჭარის ასსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახანძრო დაცვის განყოფილების გასამხედროებული სახანძრო დაცვის რაზმის გასამხედროებული სახანძრო ნაწილის უფროსი.

სოლომონ ომერის ძე **ცინკილაძე** — შინაგანი სამსახურის უფროსი ლეიტენანტი, აჭარის ასსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახანძრო დაცვის განყოფილების დამოუკიდებელი გასამხედროებული სახანძრო ნაწილის ინსპექტორი.

ზურაბ ჰასანის ძე **წულუკიძე** — შინაგანი სამსახურის სერჟანტი, აჭარის ასსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახანძრო დაცვის განყოფილების დამოუკიდებელი გასამხედროებული სახანძრო ნაწილის ქვეგანყოფილების მეთაური.

დურსუნ ხასანის ძე **ხავლოშვილი** — შინაგანი სამსახურის მაიორი, აჭარის ასსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახანძრო დაცვის განყოფილების ხანძრის ჩაქრობის მორიგი სამსახურის ხანძრის ჩაქრობის ხელმძღვანელის უფროსი თანაშემწე.

გრანტ გრიგოლის ძე **ხუდინიანი** — შინაგანი სამსახურის პოდპოლკოვნიკი, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახანძრო დაცვის სამმართველოს ხანძრის ჩაქრობის მორიგი სამსახურის ხანძრის ჩაქრობის ხელმძღვანელის მოადგილე.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. გუმბარიძე.
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1990 წლის 19 თებერვალი.
№ 2511—XI

## საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 41 ამხ. ს. ს. გიორგაძის საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სახალხო მეურნეობის დარგში ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ტექზედამხედველობის განყოფილების მთავარი ბუღალტერი ამხ. სერგო სპირიდონის ძე **გიორგაძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. გუმბარიძე.
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1990 წლის 28 თებერვალი.
№ 2519—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 42 ამხ. ლ. მ. ზაიჩიკისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

სამართალდაცვით ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეს ამხ. ლევ მიხეილის ძე **ზაიჩიკს** მიენიჭოს **„საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტის“** საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. გუმბარიძე.
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1990 წლის 28 თებერვალი.
№ 2520—XI

## საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 43 „საქართველოს სსრ სახალხო განათლების დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ხანგრძლივი ნაყოფიერი პედაგოგიური მუშაობისათვის მიენიჭოთ **„საქართველოს სსრ სახალხო განათლების დამსახურებული მუშაკის“** საპატიო წოდება:

ლარისა პეტრეს ასულ **გოგეშვილს** — ბოლნისის სამუსიკო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეს.

მერაბ გიორგის ძე **გიორგაძეს** — კოდის სამუსიკო სკოლის დირექტორს.

მეგი გრიგოლის ასულ **დათეშიძეს** — თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის კათედრის დოცენტს.

ედუარდ გრიგოლის ძე **დათებაშვილს** — თბილისის მე-9 სამუსიკო სკოლის პედაგოგს.

მანანა ვახტანგის ასულ **დიდებულიძეს** — თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ტანსაცმლის მოდელირების კათედრის უფროს მასწავლებელს

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. გუმბარიძე.
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1990 წლის 28 თებერვალი.
№ 2521—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 44 „საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

კულტურის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის მიენიჭოთ **„საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის“** საპატიო წოდება:

შოთა დავითის ძე **აბუთიძეს** — აფხაზეთის ასსრ კულტურის მინისტრის მოადგილეს.

იდა მიხეილის ასულ **ნემსაძეს** — საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს უფროს ინსპექტორს.

**საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. გუმბარიძე.**
**საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.**

თბილისი, 1990 წლის 28 თებერვალი.
№ 2522—XI

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 45 „საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ჯანმრთელობის დაცვის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის **„საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის დამსახურებული მუშაკის“** საპატიო წოდება მიენიჭოთ საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სისტემის მუშაკებს:

ნათელა ევგენის ასულ **ბალარჯიშვილს** — რესპუბლიკური კლინიკური ინფექციური საავადმყოფოს მედდას.

ვახტანგ ზაქარიას ძე **ბოგველიშვილს** — აკადემიკოს გ. მუხაძის სახელობის ჰემატოლოგიისა და სისხლის გადასხმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის კლინიკური განყოფილების გამგეს.

გიორგი პავლეს ძე **ზუბადალაშვილს** — ბორჯომის რაიონული საავადმყოფოს მთავარი ექიმის მოადგილეს.

თენგიზ გიორგის ძე **ხელაძეს** — აკადემიკოს გ. მუხაძის სახელობის ჰემატოლოგიისა და სისხლის გადასხმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ქირურგიული განყოფილების გამგეს.

თამარ ნიკოლოზის ასულ **ჯვებენავა-აბაკელიას** — ქ. თბილისის მე-8 პოლიკლინიკის მთავარი ექიმის მოადგილეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფიო პავლეს ასულ **შარაშიძეს** — აკადემიკოს კ. ჩაჩავას სახელობის პერინატალური მედიცინისა და მეანობა-გინეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ექთანს.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. გუმბარიძე.
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1990 წლის 28 თებერვალი.
№ 2523—XI

## საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 46 ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის, ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრისა და თოჯინების სახელმწიფო თეატრის მუშაკებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ

ქართული საბჭოთა თეატრალური ხელოვნების განვითარებაში წვლილისათვის ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის, ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრისა და თოჯინების სახელმწიფო თეატრის მუშაკებს მიენიჭოთ საპატიო წოდება:

„საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი":

ლუიზა დიმიტრის ასულ **ახალაძეს** — ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სოლისტს.

რეზო გიორგის ძე **ბედიაშვილს** — ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის ორკესტრის მსახიობს.

ზანდა გიორგის ასულ **ბერულავას** — ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სოლისტს.

ფოთოლა გალაქტიონის ასულ **დუნდუას** — ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სოლისტს.

თეიმურაზ ავთანდილის ძე **თავაძეს** — ლ. მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობს.

ნელი აპოლონის ასულ **თოდაძეს** — ლ. მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობს.

ეთერ დიმიტრის ასულ **თოდუას** — თოჯინების სახელმწიფო თეატრის მსახიობს.

ასლან მუხარბის ძე **ისუპოვს** — ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის ბალეტის მსახიობს.

ალექსანდრე ივანეს ძე **კაკაურიძეს** — ლ. მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გური გალაქტიონის ძე **კუბლაშვილს** — ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სოლისტს.

მაია გიორგის ასულ **სამანიშვილს** — ლ. მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობს.

იაკობ დავითის ძე **სკოროდუმოვს** — ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის ორკესტრის მსახიობს.

გიზო კასიანეს ძე **ღელეყვას** — ლ. მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობს.

თამარ მარკოზის ასულ **ჭელიძეს** — თოჯინების სახელმწიფო თეატრის მსახიობს.

მერაბ გრიგოლის ძე **ჩიქოვანს** — ლ. მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობს.

**„საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვარი“**

თემურ აბესალომის ძე **არსენიძეს** — ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის მთავარ მხატვარს.

**„საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი“**

გურამ შალვას ძე **ლომთაძეს** — ლ. მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის სადადგმო ნაწილის გამგესა და მსახიობს.

**საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. გუმბარიძე.**

**საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.**

თბილისი, 1990 წლის 28 თებერვალი.

№ 2524—XI

## განყოფილება მესამე

## საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა

17 თებერვალს გაიმართა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა. პირველ საკითხად მოისმინეს ინფორმაცია საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების კამპანიის მიმდინარეობის შესახებ. აღინიშნა, რომ რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნები უმნიშვნელოვანესი კამპანიაა, რომელიც გადამწყვეტ როლს შეასრულებს რესპუბლიკის ყველა საფეხურის საბჭოების მთელი სისტემის შემდგომ განვითარებასა და დემოკრატიზაციაში. მომავალი არჩევნები ხელს შეუწყობს საქართველოს სს რესპუბლიკის ეკონომიკური დამოუკიდებლობის ძირითადი პრინციპების დანერგვას, გარდაქმნის განვითარებას, დემოკრატიისა და საჯაროობის გაფართოებას.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნები პირველად ტარდება სახალხო განხილვის შემდეგ მიღებული საქართველოს სსრ უზენაესი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოს დეპუტატთა არჩევნების შესახებ ახალი კანონის საფუძველზე, რომელიც ითვალისწინებს ჭეშმარიტი დემოკრატიული არჩევნების ჩატარებას, საზოგადოების ყველა ფენისა და ჯგუფის, საქართველოში მცხოვრები ყველა ეროვნების ინტერესებს, არჩევნებისათვის მზადების ყველა ეტაპზე და არჩევნების ჩატარებისას ფორმალიზმისა და ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ შეურიგებელ ბრძოლას.

ამასთან ალტერნატიული კანდიდატების უფლებათა ხელოვნურად შეუზღუდაობისა და ყველა მათგანისათვის თანაბარი პირობების შესაქმნელად, ჭეშმარიტად თავისუფალი არჩევნების ჩატარებისათვის საჭიროა გათვალისწინებულ იქნეს სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნების გამოცდილება.

არსებითად იცვლება დეპუტატთა ფუნქციებიც. ისინი უნდა ეწეოდნენ მუდმივ კანონმდებლობით და საკონტროლო მოღვაწეობას, საქმიან თვისებებთან ერთად ავლენდნენ მაღალ ზნეობას, პასუხისმგებლობის გრძნობას, ღრმა პროფესიონალიზმსა და განსწავლულობას, ადამიანებთან მუშაობის ნიჭსა და უნარს, პირად ინიციატივასა და გაბედულებას. აქედან გამომდინარე ნათელია, თუ რა პასუხსაგები ამოცანებია დასახული თითოეულის წინაშე. უზენაეს საბჭოში არჩეულ უნდა იქნენ მაღალკომპეტენტური, გამოკვეთილი სამოქმედო პროგრამის მქონე, სამშობლოსა და ერის კეთილდღეობისათვის გულშემატკივარი ადამიანები.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების კამპანია გადამწყვეტ სტადიაშია. დაწესებულ ვადებში შეიქმნა საარჩევნო ოლქები და უბნები, საარჩევნო კომისიები, რომლებიც ძირითადად უზრუნველყოფილნი არიან კეთილმოწყობილი ბინებით, კავშირგაბმულობის საშუალებებით, ინვენტარით, საარჩევნო ლიტერატურით, არჩევნების ჩატარებისათვის საჭირო დოკუმენტაციის ბლანკებით, ბეჭდებითა და სხვ.

რესპუბლიკაში შექმნილია საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების 300 საარჩევნო ოლქი და 3250 საარჩევნო უბანი. ყველა საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში შეყვანილი არიან სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოებისა და სახალხო ფრონტის წარმომადგენლები.

საოლქო საარჩევნო კომისიათა მასალების ანალიზი მოწმობს, რომ მათი ჩამოყალიბებისას დაცულია კანონის მოთხოვნები, კერძოდ, კომისიის წევრები დასახელებულნი არიან საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე განლაგებული შრომითი კოლექტივების, მათი საბჭოების, ჯარის ნაწილებში სამხედრო მოსამსახურეთა კრებების, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა და მოძრაობათა რესპუბლიკური, რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული ორგანიზაციების, საშუალო სპეციალური და უმაღლესი სასწავლებლების კოლექტივების, აგრეთვე საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ამომრჩეველთა კრებების მიერ.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისია და საოლქო საარჩევნო კომისიები საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების შესახებ კანონის შესაბამისად ახორციელებენ კონტროლს სამოქმედო ტერიტორიაზე არჩევნებისათვის მზა-

№ 2 ეროვნული ბიბლიოთეკა

დების მიმდინარეობისადმი, თავიანთ სხდომებზე სისტემატურად იხილავენ არჩევნების ორგანიზებულად და მაღალ დონეზე ჩატარებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

რესპუბლიკაში ძირითადად საქმიან ვითარებაში და პრინციპულად წარიმართა დეპუტატობის კანდიდატთა დასახელებისადმი მიძღვნილი შრომითი კოლექტივების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, საშუალო სპეციალური და უმაღლესი სასწავლებლების კოლექტივების და საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ამომრჩეველთა **კრებები.**

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის მონაცემებით რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელებულია 3012 ადამიანი, მათ შორის სკკპ წევრია 2285, უპარტიო — 718, ქალი — 363, 30 წლამდე ახალგაზრდა — 257, ქართველია 2759, რუსი — 37, სომეხი — 46, ბერძენი — 13, აზერბაიჯანელი — 39, ებრაელი — 18, ოსი — 33, აფხაზი — 51, ლიტველი — 1, ქურთი — 2. უმაღლესი განათლებითაა 2777 კანდიდატი, საშუალოთი — 118, საშუალო-სპეციალურით — 54, არასრული უმაღლესით — 54.

რესპუბლიკის შრომით კოლექტივებში და საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მოსახლეობაში ფართოდ არის გაშლილი წინასაარჩევნო კამპანია. ამომრჩევლებს საფუძვლიანად განუმარტავენ საქართველოს სსრ კონსტიტუციის, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების შესახებ კანონის ძირითად დებულებებს, საბჭოთა დემოკრატიზმის საფუძვლებს, სსრ კავშირის საშინაო და საგარეო პოლიტიკის პრინციპებს. კულტურის სახლებში, კლუბებსა და ბიბლიოთეკებში, ამომრჩეველთა კლუბებსა და სააგიტაციო ცენტრებში ეწყობა თემატური და კითხვა-პასუხის საღამოები, შეხვედრები ომისა და შრომის ვეტერანებთან, ცნობილ მეცნიერებთან და წარმოების ნოვატორებთან.

რესპუბლიკის მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი სისტემატურად აშუქებენ არჩევნებისათვის მზადების მიმდინარეობის საკითხებს, განაზოგადებენ საარჩევნო კომისიებისა და ამომრჩეველთა კლუბების საქმიანობას.

ამასთან ერთად აღინიშნა, რომ არჩევნებისათვის მზადების საქმეში ადგილი აქვს რიგ ნაკლოვანებებსაც.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაავალა აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უზენაესი საბჭოების პრეზიდიუმებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს აღმასკომს, რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს ვითარების მთელი სერიოზულობისა და სირთულის გათვალისწინებით ზუსტად განსაზღვრონ საარჩევნო კამპანიის ჩატარებაში საბჭოთა ორგანოებისა და საბჭოების აქტივის ფუნქციები, რისთვისაც:

მთელი თავიანთი ძალისხმევა მოახმარონ არჩევნების ჩატარებას, ქმედითად გადაწყვიტონ მასთან დაკავშირებული ყველა საკითხი, პრინციპულად და საჯაროდ წინ აღუდგნენ დემაგოგიურ და მიუღებელ ფორმებს, რომელთაც დეპუტატობის კანდიდატებმა, მათმა ნდობით აღჭურვილმა პირებმა და დე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

პუტატობის კანდიდატთა სხვა წარმომადგენლებმა შეიძლება მიმართონ ამომრჩეველთა ხმების დაგროვების მიზნით. ყოველმხრივ დაუჭირონ მხარი დეპუტატობის კანდიდატთა კონსტრუქციულ წინასაარჩევნო პროგრამებს, ხელი შეუწყონ მათ შრომითი კოლექტივებისა და ამომრჩეველთა ნდობის მოპოვებაში;

აღმასკომის სხდომებსა და შრომითი კოლექტივების საერთო კრებებზე განიხილონ საარჩევნო კამპანიის მიმდინარეობასთან დაკავშირებული საკითხები. შესაბამისი ახსნა-განმარტებითი მუშაობა გასწიონ საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ამომრჩეველთა შორის;

აქტიურად ითანამშრომლონ საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან — პროფკავშირებთან, ქალთა ორგანიზაციებთან, ომისა და შრომის ვეტერანთა საბჭოებთან, სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოებასთან, საქართველოს სახალხო ფრონტთან, სხვა მოძრაობებთან, საზოგადოებებთან, ასოციაციებთან, კლუბებთან, ფონდებთან და ა. შ. ამ საქმიანობაში ფართოდ ჩააბან ამომრჩეველთა საცხოვრებელ ადგილას მოქმედი საზოგადოებრივი ორგანიზაციები, თვითმმართველობის ორგანოები;

დაეხმარონ დეპუტატობის კანდიდატებს წინასაარჩევნო პროგრამების შემუშავებაში, რომლებიც უნდა ასახავდნენ რეგიონის რეალურ ცხოვრებას, შეიცავდნენ საქმიან წინადადებებს, ითვალისწინებდნენ ამომრჩეველთა თხოვნებსა და სურვილებს, მატერიალურ შესაძლებლობებს მათი დაკმაყოფილებისათვის; აგრეთვე ხელი შეუწყონ მათ ნდობით აღჭურვილი პირების შერჩევასა და წინასაარჩევნო კამპანიის წარმართვისათვის ისეთი ჯგუფების შექმნაში, რომელთა წევრები საჭირო დახმარებას აღმოუჩენენ დეპუტატობის კანდიდატებს პოლემიკის წარმართვაში, თავისი შეხედულებების დაცვაში;

ყოველმხრივ შეუწყონ ხელი საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებს უფლებამოსილებათა განხორციელებაში, უზრუნველყონ ისინი მუშაობისათვის საჭირო ცნობებითა და მასალებით, აწარმოონ ამომრჩეველთა აღრიცხვა. ამომრჩეველთა სიების შესადგენად საუბნო საარჩევნო კომისიებს მიაწოდონ საჭირო ზუსტი ცნობები შესაბამის ტერიტორიაზე მცხოვრებ ამომრჩეველთა შესახებ;

განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ დეპუტატობის კანდიდატთა დასასახელებლად საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ამომრჩეველთა კრებებს. შესაბამის საარჩევნო კომისიებთან ერთად ყველა პირობა შექმნან ამ კრებებზე კანდიდატურათა განუსაზღვრელი რაოდენობის დასახელებისათვის, მათი ფართო, თავისუფალი განხილვისათვის;

დაეხმარონ დეპუტატობის კანდიდატებს კრებებზე, თათბირებზე, მიტინგებზე, პრესაში და ტელევიზიით გამოსვლებში, ამომრჩევლებთან შეხვედრებში, საჭირო საცნობარო და საინფორმაციო მასალების მიღებაში, ამასთან დაიცვან საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატობის ყველა კანდიდატისათვის თანაბარი პირობების შექმნის პრინციპი;

დასახონ საჭირო ღონისძიებანი, რათა საარჩევნო კამპანიის პერიოდში აქტიურად გადაწყდეს კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცებასთან,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპეკულაციასა და სხვა დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებასთან, ადამიანთა სოციალური დაცულობის უზრუნველყოფასთან, მათი აუცილებელი საქონლით მომარაგებასთან დაკავშირებული და აგრეთვე სხვა საკითხები, რომლებიც მოსახლეობის ინტერესებს ეხება.

საქართველოს სსრ სამინისტროებს, სახელმწიფო კომიტეტებსა და უწყებებს დაევალათ ხელი შეუწყონ საარჩევნო კომისიებს უფლებამოსილებათა განხორციელებაში და უზრუნველყონ ისინი მუშაობისათვის საჭირო ცნობებითა და მასალებით, სათანადო დახმარება აღმოუჩინონ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებს ამომრჩევლებთან შეხვედრების ორგანიზაციაში, საჭირო საცნობარო და საინფორმაციო მასალების მოპოვებაში.

*

* *

განიხილა რა საკითხი სასჯელის მოხდის ჰუმანიზაციის ღონისძიებათა შემუშავებასთან, მსჯავრდებულთა შეწყალებასა და ვადამდე განთავისუფლებასთან დაკავშირებით პრეზიდიუმმა აღნიშნა, რომ საჭიროა სამართალდამცავი ორგანოების მიერ სასჯელის მოხდის ჰუმანიზაციის ღონისძიებათა შემუშავება, ამასთან, აუცილებელია მსჯავრდებულების, განსაკუთრებით ქალების, მრავალშვილიანი დედებისა და მრავალშვილიანი მამების, ინვალიდების, ახალგაზრდობის, უპირველესად კი არასრულწლოვანების პატიმრობაში ყოფნის საკითხების — შეწყალებისა და ვადამდე განთავისუფლების, აგრეთვე თავისუფლების აღკვეთის ადგილებში მსჯავრდებულთა შრომისა და საყოფაცხოვრებო პირობების მოწესრიგება.

უკანასკნელ ხანს საქართველოს სსრ პროკურატურის, შინაგან საქმეთა სამინისტროს, იუსტიციის, სასამართლო ორგანოების და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, მოძრაობების, აგრეთვე სასულიერო პირთა მიერ გარკვეული ღონისძიებანია გატარებული ამ მიმართულებით.

ამასთან საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის და პირადად თავმჯდომარის სახელზე კვლავ შემოდის სახალხო დეპუტატების, შრომითი კოლექტივების, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მოძრაობების, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქისა და ცალკეული მოქალაქეების წერილები და წინადადებები სიკვდილით დასჯის გაუქმების, ამნისტიის გამოცემისა და ე. წ. ჩათვლების შემოღების, მსჯავრდებულთა მიერ სასჯელის, როგორც წესი, რესპუბლიკის ფარგლებში მოხდის, საზოგადოებრივად ნაკლებად საშიში დანაშაულის ჩამდენ პირთა თავდებქვეშ გადაცემის პრაქტიკის უფრო ფართოდ გამოყენების, შრომა-გასწორების დაწესებულებებში სასულიერო პირთა დაშვების თაობაზე.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაავალა საქართველოს სსრ იუსტიციისა და შინაგან საქმეთა სამინისტროებს, რესპუბლიკის პროკურატურასა და უზენაეს სასამართლოს 1990 წლის 10 მარტამდე შეიმუშაონ და საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმს წარმოუდგინონ წინადადებანი:

ეროვნული ბიბლიოთეკა

საზოგადოებრივად ნაკლებად საშიში დანაშაულის ჩამდენ პირთა, განსაკუთრებით ქალების, მრავალშვილიანი დედებისა და მრავალშვილიანი მამების, ინვალიდების, ახალგაზრდობის, უპირველესად კი არასრულწლოვანების მიმართ შეწყალებისა და ვადამდე განთავისუფლების ღონისძიებათა თაობაზე;

თავისუფლების აღკვეთის ადგილებში მსჯავრდებულთათვის სათანადო სამუშაო და საყოფაცხოვრებო პირობების შექმნის შესახებ;

მსჯავრდებულთა მიერ სასჯელის რესპუბლიკის ფარგლებში მოხდის თაობაზე;

სიკვდილით დასჯის გამოყენების მკვეთრად შემცირების შესახებ.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს აგრეთვე დაევალა განიხილოს და მოაწესრიგოს სასჯელის მოხდის ადგილებში სასულიერო პირთა დაშვების საკითხი.

* * *

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე მოსმენილ იქნა აგრეთვე საკითხები: ზოგიერთი საკანონმდებლო აქტის მომზადების თაობაზე საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უზენაესი საბჭოს მეთორმეტე სესიის დადგენილებათა შესრულების მიმდინარეობის შესახებ, საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების დეპუტატების არჩევნების საარჩევნო ოლქების რაოდენობის განსაზღვრის თაობაზე და სხვ.